საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 07-01/15

ქ. ბათუმი **10 მარტი, 2022 წ.**

ბსუ-ს ფართით (დარბაზებითა და აუდიტორიებით) სარგებლობის საფასურის განსაზღვრის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, წესდების მე-10 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული ზოგიერთი დარბაზით, აუდიტორიითა და სტუდენტთა საცხოვრებლის ოთახებით მომსახურებისათვის ქირის საფასურის დადგენის თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2012 წლის 23 მარტის N06 გადაწყვეტილების, შპს აუდიტორული ფირმა ლაზიკა აუდიტის **2022 წლის 21 თებერვლის დასკვნის,** ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 4 მარტის N226887 სამსახურებრივი ბარათის და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმი შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული ფართით (ზოგიერთი დარბაზითა და აუდიტორიით) **სარგებლობის** საფასური განისაზღვროს წინამდებარე გადაწყვეტილების **N1 დანართის** შესაბამისად.
2. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი წინამდებარე გადაწყვეტილების გამოცემამდე გამოცემული წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებები ბსუ-ს ფართის (დარბაზებისა და აუდიტორიების) გაქირავების/იჯარით გაცემის საფასურის განსაზღვრის თაობაზე.
3. ეთხოვოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ამ გადაწყვეტილების შესასრულებლად შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.
4. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
5. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).
6. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **დავით ბარათაშვილი**

,,ბსუ-ს ფართით (დარბაზებითა და აუდიტორიებით) სარგებლობის საფასურის განსაზღვრის თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 10 მარტის N07-01/15 გადაწყვეტილების

დანართი N1

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული ფართით (ზოგიერთი დარბაზით და აუდიტორიით) **სარგებლობის** საფასური განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

1. **დღიური და საათობრივი სარგებლობის საფასურები:**

N	ფართის დასახელება	ფართის ადგილმდებარეობა	ფართის მოცულობა	დღიური საფასური	1 ასტრ. საათის საფასური
1	სააქტო დარბაზი სცენით	ბსუ-ს N1 კორპუსის მე-2 სართულზე	454 კვ.მ.	800 ლარი	250 ლარი
2	საკონფერენციო დარბაზი	ბსუ-ს N1 კორპუსის მე-3 სართულზე N55 აუდიტორია	203,4 კვ.მ.	700 ლარი	200 ლარი
3	დარბაზი (აუდიტორია)	ბსუ-ს N2 კორპუსის მე-2 სართულზე N234 აუდიტორია (ყოფილი N238)	63 კვ.მ.	300 ლარი	70 ლარი
4	ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი	ბსუ-ს N1 კორპუსის მე-3 სართულზე	267,9 კვ.მ.	400 ლარი	80 ლარი
5	სპორტული დარბაზი (გასახდელებით, საშხაპეებით და კაბინებით)	ბსუ-ს N2 კორპუსის პირველ სართულზე	910,06 კვ.მ.	600 ლარი	150 ლარი
6	ტანვარჯიშის დარბაზი	ბსუ-ს N1 კორპუსის	248,5 კვ.მ.	400 ლარი	80 ლარი

	(მამალაძის სახელობის)	პირველ სართულზე			
7	აუდიტორია - 50 ადგილამდე ტევადობის	ბსუ-ს სარგებლობაში არსებულ შენობებში	---	100 ლარი	50 ლარი
8	აუდიტორია - 50 ადგილზე მეტი ტევადობის	ბსუ-ს სარგებლობაში არსებულ შენობებში	-----	200 ლარი	60 ლარი